
ქართული მრავალფეროვნება და ქართული ლიტერატურული დისკურსი
Genre Diversity and Georgian Literary Discourse

Tamar Barbakadze

თამარ ბარბაკაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Hermeneutical Interpretation of the Metaphor "Tear" in Georgian Poetry

„ცრემლის“ მეტაფორის ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია ქართულ პოეზიაში

Phenomenological-hermeneutic aspects of understanding metaphor imply the explanation of metaphorical models in the text. Paul Ricoeur's "poetics of the will" holds that a metaphor opens up new perspective to the imagination of ordinary spoken language in literary texts. In national intermediate poetry, the metaphor "tear" assumes an intermediary position between "world" and "country" within the author's contextual meaning using the potential of a unique Georgian poem.

In the 1990s, the well-known Georgian poetess Ela Gochiashvili wrote a poem titled a "Teardrop on the cheek of the world" dedicated to Borena Jachvliani. "Tear" is a metaphor for love in Ela Gochiashvili's verlibre.

Keywords: "tear," Ela Gochiashvili, metaphor, Hermeneutica

საკვანძო სიტყვები: „ცრემლი“, ელა გოჩიაშვილი, მეტაფორა, ჰერმენევტიკა

მეტაფორის გააზრების ფენომენოლოგიურ-ჰერმენევტიკული ასპექტები გულისხმობს ტექსტში არსებული მეტაფორული მოდელების ახსნას; პოლ რიკორის მიერ დამკვიდრებული „ნების პოეტიკის“ მიხედვით კი, მეტაფორა ჩვეულებრივ, სასაუბრო ენას მხატვრულ ტექსტებში წარმოსახვის ახალ პერსპექტივას სძენს. ავტორის მიერ მინიჭებული კონტექსტუალური ღირებულებით, „ცრემლის“ მეტაფორა, უნიკალური ქართული ლექსის შესაძლებლობით, ეროვნულ პოეზიაში შუალედურ ადგილს იმკვიდრებს „სამყაროსა“ და „ქვეყანას“ შორის:

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, „სამყარო“, როგორც მყარი, მარადიული იდეების, ხოლო „ქვეყანა“ – ცვალებადი, ადამიანთა ყოფნის – ადგილი, ერთმანეთს უკავშირდება „ცრემლით“: მეტაფორით, რომელიც თანაგრძობას აღნიშნავს. პოემის ორი მთავარი ქვეყნის – არაბეთისა და ინდოეთის – დაახლოების საბაზიც ცრემლი გახდა. ტარიელის უსიტყვო მწუხარების, ცრემლის, გამომწვევი

მიზეზის ძიება არის ის გზა. რომლის ინტერპრეტაციის ინვარიანტულობის ახსნა უმთავრესია რუსთველოლოგიასა და, საზოგადოდ, ლიტერატურისმცოდნეობაში.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის, ტარიელის, უსიტყვო ცრემლთან ერთიანდება ცრემლი – სიტყვა: ავთანდილის ანდერძი, სიმღერა და ნესტან-დარეჯანის წერილი ქაჯეთის ციხიდან. სწორედ სიტყვისა და ცრემლის თანხმობა გარდაქმნის ავთანდილის ანდერძს თანაგრძნობის პოეზიად, ხოლო „ლექსთა საბრლოთა“, ავთანდილის სიმღერის, მოსასმენად იკრიბება მთელი მსოფლიო – მაშრიყით მალრიბამდე. ანდერძი – წერილად, წიგნად გარდაქმნილი სიტყვა – ცრემლი და სიმღერა – მელოდიად, რიტმად განფენილი თანაგრძნობა – სიტყვა ამთლიანებს მსოფლიოს.

ვაჟა-ფშაველას „ბახტიონში“ „ცრემლი“ – „დამდნარი გულის წვენია“. იგი სამყაროს მტკივნეულ იდეას – უგრძნობი კაცის ტრაგედიას – უკავშირდება და ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას და პიროვნების ღირსებას განსაზღვრავს.

ცრემლის მეტაფორა უდევს საფუძვლად ქართული პოეტური ფოლკლორის „ხმით ნატირლებს“, რომელთაც „მგოსანი გლოვისანი“ წარმოთქვამდნენ; პოეტებს ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში ასე უწოდებდნენ: „ფარსმან ქველის დატირებას წინ უძღვის პროზაული ტექსტი, რომელშიც ვკითხულობთ: „დასხდიან მგოსანნი გლოვისანი“ (ინგოროყვა, 1939, გვ. 729).

გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენებში“ უღმერთობის, ჯოჯოხეთური ეპოქის მთავარი ნიშანი უცრემლოდ დარჩენაა; ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ ლირიკული გმირის ტრაგედიაც სატრფოს ცრემლის გარეშე დამარხვაა უცხო მხარეში, სადაც თანაგრძნობა არ არსებობს. გალაკტიონ ტაბიძე ლირიკულ პოემებში: „საუბარი ლირიკის შესახებ“ და „მშვიდობის წიგნი“ პოეზიის მთავარ მიზნად მიიჩნევს ადამიანთა, კაცთა შორის სათნოების, სიკეთის განმტკიცებას და მსოფლიოსათვის მცირერიცხოვანი ქვეყნის, საქართველოს, გაცნობას. ლექსით, წიგნით, გრძნობით (ცრემლით): „ქვეყანა, სადაც პოეზიით ბრწყინავს სამყარო“, უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს მსოფლიოსათვის. საქართველოს – მგოსანთა მხარეს! – წესად აქვს, რომ პოეტის სული მიიჩნიოს მსოფლიოს ცენტრად („საუბარი ლირიკის შესახებ“).

თანამედროვე ქართველმა პოეტმა, ბესიკ ხარანაულმა, პოეტის დანიშნულება „ცრემლის“ მეტაფორით ახსნა: „ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე“. პოეტის „ცრემლის“ აპოლოგიაა კრებულ „აგონიურის“ (1991) ექვსტაეპიანი ლექსი „ლეჩაქი“.

როგორ გიხდება, ტყემალო,
ეგ ბებოჩემის ლეჩაქი,
როგორც კი თვალი მოგკარი,
ცრემლი მომადგა ბეჩავი, მიტომაც გაცლა ვარჩიე,
ვითომც საითმე ვიჩქარო.

(ხარანაული, 2012, გვ. 629)

პოეტი ტრადიციად მიიჩნევს თანაგრძნობას, რომელიც „ცრემლსა“ და „ლეჩაქს“ ერთიანებს ისევე, როგორც ნესტან-დარეჯანის „ცრემლი“ და „რიდე“. „ცრემლის“ მეშვეობით „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალის, ასმათის, სახის ინტერპრეტაციის ორიგინალური ვარიანტი შექმნა გივი გეგეჭკორმა: „შენ, სხვის ცრემლებზე დაღვრილო ცრემლო“. ტარიელ ჭანტურიას აზრით, მთელ მსოფლიოს აერთიანებს: „წითელი სისხლი“, „სპეტაკი ცრემლი“, „თეთრი ოფლი“. პოეტის „დღის რეჟიმი“, ტარიელ ჭანტურიას რწმენით, ასეთი უნდა იყოს: „არც ერთი სტრიქონი – ცრემლის გარეშე! არც ერთი წვეთი ცრემლი – სიხარულის გამო!“

შოთა ჩანტლაძეს 1950 წელს დაუწერია ლექსი, რომელიც „უცრემლო პანაშვიდების“ მეტაფორით ქმნის ფერფლადქცეული, განადგურებული სულის მხატვრულ სახეს. უცრემლოდ დარჩენილი, დაუტირებელი მსხპვერლი, უპირველეს ყოვლისა, პოეტის სტრიქონებით, სიტყვებით უნდა გაცოცხლდეს

ისე დიდია ამ ცხოვრების მთელი სიმძიმე
როგორც უცრემლო პანაშვიდები.
(ჩანტლაძე, 1998, გვ. 93)

XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწერა ცნობილი ქართველი პოეტის, ელა გოჩიაშვილის, ლექსი „ცრემლი სამყაროს დაწვზე“, რომელიც ბორენა ჯაჭვლიანს ეძღვნება. ელა გოჩიაშვილის ამ ვერლიბრში „ცრემლი“ მეტაფორაა სიყვარულისა: გამოკვეთილია პოეტის მთავარი სათქმელი: „არა-სოდეს გამოილიოს სამყაროს დაწვზე / ცრემლი – ჰიმნი სიყვარულისა“. „ცრემლის“ მეტაფორის ინტერპრეტაცია ელა გოჩიაშვილის ლირიკაში ინვარიანტულია: „ცრემლი სიცოცხლეა!“ „ადვილია შიშველი ცრემლის დანახვა!“ „მოდი, „ცრემლი“ მითხარი, სტრიქონი გამითხარე!“ საბოლოოდ კი, ელა გოჩიაშვილის აზრით, „ლექსი ტანჯულთა რელიგიაა“. პოეტმა უნდა „ამოიტროს“ თავისი სათქმელი და ასე ასწავლოს, შეახსენოს მსოფლიოს დავიწყებული თანაგრძნობა და სიყვარული.

მხატვრული ტექსტის ჰერმენევტიკული მეთოდის დახასიათებისას ირმა რატიანი საუბრობს პოლ რიკიორის ნაშრომზე: „მეტაფორა და ჰერმენევტიკის ძირითადი პოზლემა“ (1974). აღნიშნავს, რომ პ. რიკიორი ერთმანეთისაგან მიჯნავს „განმარტებისა“ და „ინტერპრეტაციის“ ცნებებს: „განმარტება“ ცხადყოფს ტექსტისმიერ ინფორმაციას, ხოლო „ინტერპრეტაცია“ აღნიშნავს ტექსტზე კრიტიკოსის რეაქციის სიღრმეს. შესაბამისად, „შეგრძნება“ ტექსტის ობიექტურ თვისებად მიიჩნევა, „შენიშვნა“ კი წარმოაჩენს კრიტიკოსის ცოდნის პერსპექტივას, მის ინტენციონალობას, რომელიც განსაზღვრავს რეაქციას.

მეტაფორა განიხილება არა როგორც მხოლოდ „გრძნობადი“ ოპერაცია, არამედ როგორც სინთეზური კონსტრუქცია, „სემანტიკური მოვლენა“, რომელსაც გამოარჩევს არა იმდენად ლინგვისტური სტატუსი, რამდენადაც ავტორის მიერ პროვოცირებული უნიკალური კონტექსტუალური ღირებულება. კრიტიკოსისაგან მეტაფორის მართებული შემეცნება იწვევს ტექსტის სტრუქტურის მართებულ შეცნობას“ (რატიანი, 2008, გვ. 121).

საგულისხმოა ქართულ მინიატურულ პროზაში „ცრემლის“ მეტაფორის ავტორისეული ინტერპრეტაციები: ვაჟა-ფშაველას „კლდე მტირალი“ ცრემლს გვიხატავს მთისა და ბარის გამაერთიანებლად: „კლდეს ცრემლი ჩამოუვა პირზედ, ჩაურეცხს გულმკერდს და წავა თავქვე ქვითნით, მიდის და მისტირის“:

ცრემლი ვართ კლისა, ბუნებავ,
იმის ვარამის ნაღები,
შენს მკერდზე გროვა ყვავილთა
ჩემის ცვრით არის ნაღები.

ბარიც ჰკითხავს ამბავს კლდისას და ცრემლი უამბობს:

მაგრა სდგას, დაო, ძველებრივ,
როგორც კლდეს ჰფერობს, კლდურადა,
თუმც ბოლოს შენმა სურვილმა
ტირილი მისცა რჯულადა...

ბარი კლდის ცრემლის გულზე დაიყრის, შეისუტავს, შეისისხლხორცებს... (ვაჟა-ფშაველა, 1992, გვ. 25).

ცრემლის მეტაფორის ინტერპრეტაცია: აბსტრაქტული (ფიქრი – გრძნობა) და კონკრეტული (სიტყვა – ფოთოლი) ხატები საგულისხმო კავშირს ამყარებს ელა გოჩიაშვილის „ხეებსა“ და პაოლო იაშვილის „სამ ტკივილსა“ და „ცრემლს“ შორის. ელა გოჩიაშვილი ასე მიმართავს ხეებს:

როგორ არავის ებრალებით გაზაფხულისთვის,
როგორ ადვილად გიმეტებენ გაზაფხულისთვის,
მარტო ფოთოლცვენისას თანაგიგრძნობენ,
რადგან ადვილია
შიშველი ცრემლის დანახვა და მოფერება...
(გოჩიაშვილი, 2003, გვ. 64)

პაოლო იაშვილის მინიატურა „სამი ტკივილი“ ბებერი ფიჭვის ორი შვილის სამ ტკივილს გვაცნობს: დედის წაქცევას, ორი ფიჭვის („მაიას“ და „მარინას“) ტივად შეკვრას, ტყუპი დების ერთმანეთისაგან დაცილებას: „უკანასკნელად ერთმანეთს შეხვდნენ კედელზე გაკრულები. ენატრებოდათ ერთმანეთი, მაგრამ ლურსმენი არ უშვებდნენ, ვეღარც ერთმანეთს ხედავდნენ, ლურსმნის ჭრილობებიდან ყველას ცრემლები სდიოდა. კალატოზმა დაიწყო კედლის შელესვა. დებს თვალები შეეკრათ, სული შეეხუთათ, შელესვა რომ გათავდა, აღარ იყო მეოთხე ტკივილი, იყო სამუდამო სიჩუმე: სიკვდილი“ (იაშვილი, 1992, გვ. 153).

ასევე საინტერესო შეხვედრა, შეიძლება, დავინახოთ გალაკტიონ ტაბიძის ცნობილ სტრიქონებთან „ილაპარაკეთ, ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ!“ (რომელსაც, სხვათა შორის, გალაკტიონის მინიატურაში „მიმავალი საქართველო“ სწორედ ტირილი, ცრემლი აბოლოებს: „დაგიდებთ ყურს მთელი დღე, მთელი ღამე, თვე, წელიწადი, ილაპარაკეთ, ოღონდ ილაპარაკეთ ქართულად (ტირის)“ და ნინო სადღობელაშვილის პოეტური პროზისა: „ცრემლი. ეძღვნება ქართულ ენას“. ცნობილი ქართველი თანამედროვე პოეტი და დრამატურგი, პროზაიკოსი და კრიტიკოსი – ნინო სადღობელაშვილი – მოგვითხრობს იმ ქვეყენაზე, სადაც ცრემლი აღარ იყო:

„არც მწუხარების, არც სიხარულის, არც თანაგრძნობის, არც გამარჯვების, მარცხის და სირცხვილის, გმირობისა და სიამაყის – ცრემლი არ იყო, აღარ ჩნდებოდა თვალის უპესთან, თითქოს დაწყდა მაცოცხლებელი წყაროსწყალი, მიწის გულში პირი იბრუნა“. ცრემლდამშრალ, გაუბედურებულ ქვეყანას უცხო კაცი მოადგა ჩანთით და „უცრემლო ჭირისუფლებს“ ამცნო: სიტყვები მოგიტანეთ, მე მევალეობა მათი შენახვა, თქვენ როცა ამისთვის არ გეცალათო!“ უცხო კაცის მიერ მოტანილი გაუცხოებული სიტყვები ყველამ დაიტაცა და ყველამ: „დიდი ხნის უგრძნობი სისველე იგრძნო დაწვზე... მის გარშემო ბევრი იდგა ცრემლჩამდგარი თვალებით, სანათლავად გამზადებული ემზახვივით სავსე ჰქონდათ უპეები, ცოტაც და მზის სხივები შთაეფლობოდნენ სამგზის და მეტგზისაც“. უცხო კაცი კი ჩანთას არხევდა და „გეგონება, უფსკერო იყო, შიგ საუნჯე არ ილეოდა: – რაც მეტია საუნჯე, ფასიც მეტია. სჯობს ცრემლით, ვიდრე სისხლით“... (სადღობელაშვილი, 2024, გვ. 3).

ცრემლის მეტაფორის „განმარტება“ და „ინტერპრეტაცია“ ქართულ მხატვრულ სინამდვილეში ეროვნული ყოფიერების გასაღებსაც წარმოადგენს და სამყაროს მიმართ ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულებასაც საუკეთესოდ ხსნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გოჩიაშვილი, ე. (2003). პარასკევი ჩემი დღეა, თბილისი: „მერანი“.
- იაშვილი, პ. (1992). სამი ტკივილი. წიგნში: ქართული მინიატურული პროზა. თბილისი: „ლომისი“.
- ინგოროყვა, პ. (1992). ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. ქ. „მნათობი“, 4.
- ვაჟა-ფშაველა, (1992). კლდე მტირალი. წიგნში: ქართული მინიატურული პროზა. თბილისი: „ლომისი“.
- რატიანი, ი. (2008). ჰერმენევტიკა. წიგნში: ლიტერატურის თეორია. XX ს. ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“.
- სადღობელაშვილი, ნ. (2024). ცრემლი, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 25 აპრილი-9 მაისი, 8, 3.
- ჩანტლაძე, შ. (1998). მე მოვალ... თბილისი: „ლიტერატურული მატინე“.

References:

- Chant'ladze, Sh. (1998). Me moval... [I will come...]. Tbilisi: „lit'erat'uruli mat'iane“.
- Gochiashvili, E. (2003). P'arask'evi chemi dghea. [Friday is my day]. Tbilisi: „merani“.
- Iashvili, P'. (1992). Sami t'k'ivili. Ts'ignshi: kartuli miniat'uruli p'roza. [Three pains. In the book: Georgian Miniature Prose]. Tbilisi: „lomisi“.
- Ingoroq'va, P'. (1992). Kartuli mts'erlobis ist'oriis mok'le mimokhilva. [A brief overview of the history of Georgian literature]. Zh. „mnatobi“, 4.
- Rat'iani, I. (2008). Hermenevt'ik'a. Ts'ignshi: lit'erat'uris teoria. XX s. dziritadi metodologiuri k'ontseptsiebi da mim-dinareobebi. [Hermeneutics. In: Literary Theory. Key Methodological Concepts and Movements of the 20th Century]. Tbilisi: „lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba“.
- Sadghobelashvili, N. (2024). Tsremli. [Tear]. Gaz. „lit'erat'uruli gazeti“, 25 ap'rili-9 mai, 8, 3.
- Vazha-pShavela, (1992). K'ldē mt'irali. Ts'ignshi: kartuli miniat'uruli p'roza. [The weeping rock. In the book: Georgian miniature prose]. Tbilisi: „lomisi“.